ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 2013 წლის 27 ივნისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) №799 კონკურსით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრი ნუგზარ ლომიძე

საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ
საინჟინრო -საპროექტო მომსახურების
კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის
სხდომის ოქმი №3

ქ. ქუთაისი 2013 წლის 27 ივნისი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად ძიძიგური – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ მარაქველიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

შოთა გოშაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე;

ჰამლეტ სხულუხია – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ გოცირიძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

ვლადიმერ ხუციშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ლეშკაშელი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ლომიძე – საკონკურსო კომისიის წევრი, საორგანიზაციო დეპარტამენტის რადიოფიცირების განყოფილების უფროსი;

ზაურ ჯიოშვილი – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი;

მარიამ ჩახავა – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებულ №799 კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ჰამლეტ სხულუხიამ საკონკურსო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილებამ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შესწავლის შედეგად, საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოამზადა შესაბამისი დასკვნა და დაურიგა აღნიშნული დასკვნა კომისიის წევრებს. დასკვნის მიხედვით საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სა და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო"-ს ერთობლივად და შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი"-ს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებები. შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებების ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებს მათი შეფასებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, მოცემულია წინადადებების ღირებულებები, საკმარისი მასალა მათი გამოცდილების, აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო

მეთოდებისა და საშუალებების შეფასებისათვის. ამავე დროს გარკვეულ დაზუსტებებს საჭიროებს ორივე კონკურსანტის საკონკურსო წინადადებები. კერძოდ, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სა და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო"-ს ერთობლივად წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ვადა მოცემულია 45 კალენდარული დღე, ნაცვლად საკონკურსო განცხადების 22-ე პუნქტში მითითებული ვადისა ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა. ასევე, ორივე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებებში არ არის მოცემული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რაც საკონკურსო განცხადების მე-19 პუნქტის 3) ქვეპუნქტით წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შეფასებისა და კონკურსანტის გამარჯვებულად გამოვლენის ერთერთ კრიტერიუმს. დასკვნის შემაჯამებელ ნაწილში მოცემულია, რომ ორივე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებულ საკონკურსო წინადადებაში მეტნაკლებად ჩამოყალიბებულია სასახლის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, შენობის მზიდი კარკასის კონსტრუქციების ტექნიკური კვლევის, შენობის „C" კორპუსის ცენტრალური ნაწილის სივრცითი მოდელის გაანგარიშებისა და აღდგენა-გაძლიერების კონცეფციები, რომლებიც ზემოთაღნიშნული საკითხების დაზუსტების შემდეგ თავისი შინაარსითა და შემადგენლობით მოვა შესაბამისობაში საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან და საკონკურსო კომისიას შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა (დასკვნა ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ მარაქველიძემ გამოთქვა აზრი, მასზედ რომ, მომხდარიყო დაზუსტებების მოთხოვნასთან დაკავშირებით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან კონსულტაციის გავლა. რის შემდგომაც კომისიის აპარატმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან მიღებულია განმარტება, რომ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც არ არის დარეგულირებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებითა და წესით", ხდება კომისიის მიერ.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საკონკურსო წინადადებაში საბოლოო პროექტით განსაზღვრული სამუშაოების სავარაუდო ღირებულების მითითება მოთხოვნილი იყო საკონკურსო განცხადების მე-15 პუნქტში, ხოლო გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა მითითებული იყო იმავე განცხადების 22-ე პუნქტში. შესაბამისად ორივე კონკურსანტმა, ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, საკონკურსო წინადადებების დაზუსტებისთვის, საქართველოს პარლამენტში (ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე) უნდა წარმოადგინონ დაზუსტებული დოკუმენტები 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დაადგინეს:

1. დაზუსტდეს საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებულ №799 კონკურსში წარმოდგენილი ორივე საკონკურსო წინადადება.

2. საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებულ №799 კონკურსში მონაწილე ორივე კონკურსანტმა საქართველოს პარლამენტში (ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე) წარმოადგინონ დაზუსტებული დოკუმენტები 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნა საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებულ №799 კონკურსში მონაწილე ორივე კონკურსანტის საკონკურსო წინადადებებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

4. საკონკურსო კომისიის მორიგი სხდომის გამართვის შესახებ კომისიის წევრებს ეცნობებათ დამატებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ზვიად ძიძიგური
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მარაქველიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	შოთა გოშაძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ჰამლეტ სხულუხია
საკონკურსო კომისიის წევრი	მერაბ გოცირიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ვლადიმერ ხუციშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლეშკაშელი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლომიძე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 18408/2-1

27 06 2013 წელი

შპს „ახალ საქქალაქმშენპროექტს“

საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებული №799 კონკურსში შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტისა“ და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიუროს“ ერთობლივად წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: 1) საკონკურსო წინადადებაში საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ვადა მოცემულია 45 კალენდარული დღე, ხოლო საკონკურსო განცხადების 22-ე პუნქტში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა მითითებული იყო არა უგვიანეს 20 კალენდარული დღე; 2) საკონკურსო წინადადებაში არ არის მოცემული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რისი მითითებაც მოთხოვნილი იყო საკონკურსო განცხადების მე-15 პუნქტში და რაც საკონკურსო განცხადების მე-19 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შეფასებისა და კონკურსანტის გამარჯვებულად გამოვლენის ერთერთ კრიტერიუმს.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტში (ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე) წარმოადგინოთ დაზუსტებული დოკუმენტები 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

საქართველოს პარლამენტის
საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მარაქველიძე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 18409/2-1

27 06 2013 წელი

შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგს“

საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებული №799 კონკურსში შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: საკონკურსო წინადადებაში არ არის მოცემული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რისი მითითებაც მოთხოვნილი იყო საკონკურსო განცხადების მე-15 პუნქტში და რაც საკონკურსო განცხადების მე-19 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შეფასებისა და კონკურსანტის გამარჯვებულად გამოვლენის ერთერთ კრიტერიუმს.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტში (ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე) წარმოადგინოთ დაზუსტებული დოკუმენტი 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

საქართველოს პარლამენტის
საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მარაქველიძე